დანართი

ურთიერთგაგების მემორანდუმი

ონის მუნიციპალიტეტის მერიასა და

კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელს (CENN) შორის

თანამშრომლობის შესახებ

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტის მერიასა და კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელს (CENN) შორის, ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის – *საქართველოს კლიმატის პროგრამა (GEO-CAP)* ფარგლებში, 2021 წლის 25 იანვარს დადებული თანამშრომლობის მემორანდუმის დანართს.

აღნიშნული დანართი აზუსტებს მხარეებს შორის თანამშრომლობის ფორმატს

ონის მუნიციპალიტეტის სოფელ სამთისში წყლის მომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის საქმეში, პილოტური ინტერვენციის განხორციელების გზით.

მხარეები თანხმდებიან, რომ

მერია:

- მოამზადებს: სოფელ სამთისში-ში წყლის რეზერვუარის მოწყობის ტექნიკურ პროექტს, ხარჯთაღირცხავსთან ერთად;

- განახორციელებს 2023 წლის ბოლომდე: ა) ე.წ. ყორნების წყაროს ყოფილი სათავე ნაგებობამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაციას და რ/კ ბეტონის შემკრების მოწყობას ბ) ახალი ცენტრალური მაგისტრალის მოწყობას D63 მმ. პოლიეთილენის მილით. გ) სოფელ სამთისის ყველა უბანში შიდა ქსელის მოწყობას.

CENN:

- უზრუნველყოფს სოფელ სამთისში წყლის რეზერვუარის მოწყობის სამუშაოებზე ტენდერის გამოცხადებას, მერიის მიერ მოწოდებული ტექნიკური პროექტის და ხარჯთაღრიცხვის მიხედვით;
- განახორციელებს ზემოაღნიშნული რეზერვუარის მოწყობის სამუშაოებს, ონის მერიასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს მხარეებს შორის 2021 წლის 25 იანვარს დადებული თანამშრომლობის მემორანდუმის დანართს, მასზე ვრცელდება მემორანდუმის ყველა, მათ შორის ვადებთან და მოდიფიკაციასთან დაკავშირებული, პირობა.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ურთიერთგაგების მემორანდუმის საკონტაქტო ინფორმაცია:

კავკასიის გარემოსდაცვითი
არასამთავრობო ორგანიზაციების
ქსელი (CENN)

ზეთლემის ქ. #27,
0105, თბილისი,
საქართველო

ტ: +99532 2751903/04
info@cenn.org

სახელი, გვარი: ნანა ჯანაშია

თანამდებობა: აღმასრულებელი დირექტორი

(ხელმოწერა)

14/06/2022
(თარიღი)

ონის მუნიციპალიტეტის მერია

დავით აღმაშენებლის ქ. #40,
3600, ონი,
საქართველო

ტ: +995599 22 48 42
onismeria@gmail.com

სახელი, გვარი: სერგო ხიდეშელი

თანამდებობა: ონის მუნიციპალიტეტის მერი

(ხელმოწერა)

14/06/2022
(თარიღი)